პროლეტარიელებო ყველა ერთიანდით, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 148 (19590) ◆ ხუთშაბათი, 26 ივნისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

დრო გვაჩქარებს

რესპუბლიკაში გრძელდება თიბვა. სახაგრომრეწვის მონაცემებით, ნათესი და ბუნებრივი ბალახი მოთიბულია 43.100 ჰექტარზე მეტ ფართობზე. ეს შარშანდელთან შედარებით 679 ჰექტარით ნაკლებია. მეურნეობათა ზოგიერთი ხელმძღვანელი ჩამორჩენას გაჭიანურებული წვიმებით ხსნის. ავდარში, რა თქმა უნდა, ტექნიკას მინდვრად ვერ გაიყვან. მაგრამ საჭიროა მისი ეფექტიანად გამოყენება დარიან დღეებში. ამას კი ყველგან როდი აღწევენ.

მთლიანად სეზონის დამდეგიდან დამზადებულია 290 ათას ტონაზე მეტი უხეში საკვები, რაც გეგმის 20 პროცენტს შეადგენს. სხვებზე უკეთ არის სენაჟის ჩადების საქმე, 274 ათასი ტონაა იგი ჩადებული, რაც 12 ათასი ტონით აღემატება შარშანდელ მაჩვენებელს. ბევრი მეურნეობა, რომლებმაც მოაგვარეს საკვების კონვეიერის გამართული მუშაობა, ახლა უკვე ვალდებულების ანგარიშში მუშაობს. ესენი არიან თელავის რაიონის სოფლების რუისპირის, ვანთის კოლმეურნეობები, ახმეტის რაიონის ზემო ხოდაშნის საბჭოთა ეურნეობა, გულრიფშის რაიონის სოფელ განახლების კოლმეურნეობა, სხვა მეურნეობები.

შარშანდელზე ნელი ტემპით მიმდინარეობს ნამჯის დამზადება, საკვები ნელა გაიქვთ შენახვის ადგილებზე.

საჭიროა დაჩქარდეს დასილოსება. მართალია, წვნიანი საკვები უკვე დაახლოებით 40 ათასი ტონა დამზადდა, რაც რამდენადმე აღემატება შარშანდელ დონეს, მაგრამ საჭიროა დაჩქარდეს სამუშაოთა ტემპი, რათა მივაღწიოთ დასახულ მიჯნას — 1.350 ათას ტონას.

ნოლიანად რესპუბლიკაში ერთ პირობით სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე ჯერჯერობით დამზადებულია დაახლოებით ორი ცენტნერი საკვები, როცა გეგმით 14 ცენტნერამდე საკვებია გათვალისწინებული. დრო არ ითმენს. დრო აჩქარებს საკვებდამამზადებლებს.

„საქფრინველმრეწვის“ კოლექტივის ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკაში სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „საქფრინველმრეწვის“ მშრომელებმა, რომლებიც ჩაებნენ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის გეგმებისა და დავალებების ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, დროზე ადრე, 16 ივნისისათვის შეასრულეს კვერცხის დამზადების ნახევარი წლის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 275 მილიონ ცალი კვერცხის ნაცვლად ფაქტობრივად დამზადებულია 279 მილიონი ცალი, რაც 16 მილიონით აღემატება შარშანდელ შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს თამარისის, ნორიოს, საგარეჯოს, მეჯვრისხევის, გაგრის, ბათუმისა და თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკების კოლექტივებმა.

საუკეთესო შედეგებისათვის შეჯიბრებაში

ლკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა განიხილა, თუ როგორ ხორციელდება ყრილობის მიერ განსაზღვრული გენერალური გეზი, შეაჯამა წინასწარი შედეგები, საოთხაფი დასკვნები გამოიტანა ყრილობისშემდგომი მუშაობიდან და განსაზღვრა პარტიის ამოცანები.

ამსახავ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში პლენუმზე აღინიშნა, რომ ვრთობ პასუხსაგებია ხანა და დიდია ამოცანები, რომლებიც დღეს დგება საზოგადოების წინაშე. ეს აზრი გასდევს წითელ ზოლად სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასაც მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

პლენუმზე ხაზი გაესვა იმას, რომ დაისახა სახალხო მეურნეობის ტემპის გაძლიერების ტენდენცია. მიმდინარე წლის ხუთ თვეში ქვეყნის სამრეწველო წარმოების მოგებამ 5-7 პროცენტი შეადგინა. არის ცვლილებები ისეთ დარგებშიც, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე ჩამორჩებოდა. საქმე ეხება მიმდინარე მომენტის არსს, იმას, თუ როგორ იქცევა ჩანაფიქრის ენერგია მოქმედების ენერგიად, როგორ ვძლევთ დაბრკოლებებს.

როგორი მდგომარეობაა ჩვენს რესპუბლიკაში? ამ კითხვას პასუხი გაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამართულ სელექტორულ თათბირზე, რომელზეც განიხილეს ხუთი თვის გეგმების შესრულების შედეგები და დასახეს ღონისძიებანი ივნისისა და მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალებათა წარმატებული რეალიზაციისათვის.

თათბირმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ეს პერიოდი მთლიანად იყო ინტენსიური შრომის, ძიების, მიღწევების პერიოდი. გადაჭარბებით შესრულდა როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე მისი რეალიზაციის გეგმები, დამზადდა გათვალისწინებულზე 37 მილიონი მანეთით მეტი პროდუქცია.

ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ვერ შეინარჩუნეთ იანვარ-აპრილში მიღწეული წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის დონე. ზემოხსენებულ პერიოდში ამ მაჩვენებელმა 104,3 პროცენტი შეადგინა. ხუთ თვის მონაცემებით კი, ეს ციფრი 0,3 პუნქტით შემცირდა. ასეთი საქმის ვითარება განაპირობა მაისის თვეში ზოგიერთი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და მათ შორის „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებისა და ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის არადამაკმაყოფილებელმა მუშაობამ. სამეწარო და დასანანია, რომ 57 საწარმომ ვერ შეასრულა პროდუქციის გამოშვების გეგმა და სახელმწიფოს 26,8 მილიონი მანეთის ნაწარმი დაკლო. საკითხთა საკითხია შრომის ნაყოფიერების გადიდება, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართულებაში, ნაკლებია ასეთი საწარმო, მაგალითად, რესპუბლიკის პუროდუქტების, საკვებმობილო გზების, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების, სასმომარაგების, სასაგრომრეწვის, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სისტემებში და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაში. მათ შორის გასლავთ აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, „საქნავთობის“, „ჭიათურმანგანუმის“, „აზოტის“, „ჩარხმშენელის“ საწარმოო გაერთიანებები.

ზემოჩამოთვლილი სამინისტროების, უწყებებისა და საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებების ხელმძღვანელები, მათი პარტიული ორგანიზაციები ასეთი საქმის ვითარების ასახსნელად მრავალ მიზეზს მოიშველიებენ სოლმე და მთელ რიგ შემთხვევებში არცთუ უსაფუძვლოდ. მაგრამ მართალია ისიც, რომ მთდაში დაქვემდებარებულ იმ ორგანიზაციებში, სადაც შრომის ნაყოფიერება მეირდება ნელა, ან სულ არ მიმდინარეობს გარდატეხის პროცესი, სუსტია შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა, საგრძნობია კადრების დენადობა, ნაკლებად ზრუნავენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, რეკონსტრუქციაზე, ტექნიკის განახლებაზე, ტექნოლოგიური რეჟიმის დახვეწაზე და სხვა.

ზემოხსენებულ დადგენილებაში ხაზგასმულია აზრი იმის თაობაზე, რომ შეჯიბრება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მძლავრი ბერკეტია. გაუზვიადებლად შეიძლება ვთქვათ, რომ მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში ნამდვილ ძიებას, ბოლოს და ბოლოს, ბარლაგი რომ, არა აქვს საზღვრები. სამწუხაროდ, შეჯიბრების შესაძლებლობებს სრულად ვერ ვიყენებთ. ბევრი ნაწარმის ახლანდელი დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

ეს მთლიანად ეხება ჩვენი რესპუბლიკის ასორთი საწარმოს ნაკეთობებს. უნიკარეს ყოველისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წილი წარმოების მოცულობაში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, 8,9 პროცენტით შემცირდა. ასეთი მდგომარეობის მიზეზი ძირითადად დაკავშირებულია იმასთან, რომ სახსტანდარტმა მთელ რიგ სახეობათა სახელმწიფო ხარისხისნიშნიან პროდუქციას გაუუქმა ეს კატეგორია, მაგრამ მთავარი ეს როდია. შეამცირეს სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვება ხისა და ხე-ტყის დასამუშავებელი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოებმა, აგრეთვე „ჩარხმშენელის“, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებებმა, „ანალიზსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ, თბილისის „აგრეგატისა“ და ბათუმის ნავთობგადასამუშავებელმა, ნნორის შეკანაკურმა ქარხნებმა და სხვა საწარმოებმა.

კვლავინდებურად არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს მსუბუქი მრეწველობის მიერ გამოშვებული ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქცია. პირველ კვარტალში, შემოწმების შედეგად, ხარისხი დაუქვეითდა და დეფექტების აღმოსაფხვრელად დაუბრუნდა საწარმოებს 114,6 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილი, 12,7 ათასი მეტრი მაღის ქსოვილი, 103,6 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვა რომ ანლებურად მუშაობის უპირველესი პირობაა, კარგად იცის ყველა სამეურნეო ხელმძღვანელმა, მაგრამ მარტო ცოდნა საქმეს არ შველის. სხვათა შორის, ზემოხსენებულ სელექტორულ თათბირზე ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ყველა მეხუთე საამრეწველო საწარმო ვერ ასრულებს მიწოდების ვალდებულებებს. ამავე დროს, მათი აბსოლუტური უმეტესობა გადაჭარბებითაც კი ასრულებს პროდუქციის რეალიზაციის საერთო გეგმებს. მიაქციეთ ყურადღება: პროდუქციის რეალიზაციის ხუთი თვის დავალება მრეწველობამ მთლიანად შეასრულა 102,7 პროცენტით, ხოლო მიწოდების გათვალისწინებით — 98,4 პროცენტით. ეს მაჩვენებელი, სამწუხაროდ, ჩამორჩება როგორც შარშანდელ შესაბამის პერიოდში, ისე მიმდინარე წლის იანვარ-აპრილში მიღწეულ დონეს. იმ 153 საწარმოს „წყალობით“, რომლებმაც დაარღვიეს სახელშეკრულებო დისციპლინა, სახელმწიფოს დააკლდა 58,7 მილიონი მანეთის პროდუქცია. ამ მხრივ ძალიან სცოდავენ „აზოტისა“ და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებები, ბათუმის ელექტრომექანიკური და რუსთავის თუჯსამსხმელო, თბილისის საინსტრუმენტო ქარხნები და სხვა საწარმოები.

რამდენიმე დღეც და დამთავრდება მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის ნახევარი. პერიოდი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად უნდა გვიჩვენოს რას მივაღწიეთ და რა მონაპოვრით შევეგებოთ წლის მეორე ნახევარს. გავაძლიერით ძალისხმევა, განვაორიენტოთ კონკრეტული ღონისძიებები ძირეულ გარდაქმნათა მიმართულებით, გული და სული ჩავაქსოვოთ საქმეს, ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას მოუწოდებს სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვაში საბჭოთა კავშირის მშრომელებს, როგორც არის ნათქვამი პარტიისა და მთავრობის დადგენილებაში შეჯიბრების თაობაზე.

დაჩქარება ხუთწლედის დევიზია

ორი წლის გეგმა ოქტომბრის 70 წლისთავისათვის

როგორ სრულდება ვალდებულებები?

ხუთწლედის ორი წლის დავალება — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. ეს მოძრაობა, რომელიც თბილისელ მუშათა, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატთა ინიციატივით დაიწყო, ყოველდღიურად ფართოვდება. ამ ინიციატივას თავის დროზე მხარი დაუჭირა სამრეწველო საწარმოების, ცალკეული საამქროების, უბნების, ბრიგადების, სამშენებლო სამმართველოების, სატრანსპორტო ორგანიზაციების მრავალმა კოლექტივმა.

როგორ მიმდინარეობს ზოგიერთი კოლექტივის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლა, ამის შესახებ მოთხრობილია ქვემოთ დაბეჭდილ ინფორმაციებში.

ხვეწენ სტიმულირების ფორმებს

ციხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხნის კოლექტივი მიზანმიმართულად მუშაობს ორი წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ განვლილ ხუთ თვეში რეალიზებულია გეგმით გათვალისწინებულზე რამდენიმე ათასი მანეთით მეტი პროდუქცია. ნაყოფიერად იშრომეს მანქანათმშენებლებმა ივნისის პირველ დეკადაში და მეორე დეკადაში კიდევ. უფრო უმატეს ტემპს.

წარმატებებს სხვა ფაქტორებთან ერთად მატერიალური სტიმულირების ფორმების ძიება და სისტემატური დახვეწაც განაპირობებს, ცხადია, არც მორალური წახალისების ფორმებია დავიწყებული. საწარმოს ოთხმოცზე მეტი მუშაკი დაჯილდოდა „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების“ სამკერდე ნიშნით, ასზე მეტ საუკეთესო მუშას კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება მიენიჭა.

პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის გეგმების შესრულებასთან ერთად ცხინვალელები სხვა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებსაც აუმჯობესებენ.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

დაწინაურდნენ დოკერები

მიმდინარე წლის დამდეგიდან აღებულმა შრომის სწრაფმა ტემპმა მალე მოუტანა სასურველი შედეგი ფოთის საზღვაო ნავსადგურის დოკერ-მექანიზატორებს, პირველი კვარტალის შედეგებით ფოთელებმა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს სისტემაში გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს და გადაწყვიტეს უთუოდ შეინარჩუნონ სწრაფი ტემპი.

გადაწყვიტეს და ასრულებენ კიდეც: სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადამუშავების ხუთი თვის გეგმა ათი დღით ადრე შეასრულეს, გეგმის გადამეტებით 128 ათასი ტონა ტვირთი გადამუშავეს.

„კომუნისტის“ კორ.

საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებით

ქასპი. („კომუნისტის“ კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოწოდების პასუხად კასპის რაიონის მშრომელები დღენიადაგ აძლიერებენ შრომის ტემპს, ახლებურად აწყობენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის საოკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

ახლა მინდვრად და მეცხოველეობის ფერმებში ქუდზე კაცი გამოდის დაზიანებული ბაღ-ვენახების აღსადგენად, მოსავლის დასაბინავებლად.

პირუტყვის საკვები ბაზისათვის ზრუნვამ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების გადაჭარბებით შესრულება დააჩქარა. 20 ივნისსათვის სახელმწიფოს მიეყიდა 1944 ტონა რძე ნაცვლად 1925 ტონისა. თვის ბოლომდე დარჩენილ დღეებში დამზადდება 200 ტონამდე რძე.

დამზადდა და სახელმწიფოს მიეყიდა 1.006 ტონა ხორცი, საგუგმოზე მეტი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დამზადებულია 238 ტონით მეტი ხორცი. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე კვერცხის დამზადების ნახევარი წლის დავალება. — შარშანდელ მაის-ივნისთან შედარებით დამზადდა მილიონ 715 ათასი ცალით მეტი. მეფრინველეობამ გადაწყვიტეს კვერცხის წარმოებისა და დამზადების წლევანდელი გეგმა-ვალდებულება თვის ბოლომდე შეასრულონ. გადაჭარბებით სრულდება ყველა სახეობის მეცხოველეობის სულადობის გეგმებიც.

საძმემ გამოაჩინა

თბილისური მეტრო

ეგნი დამკვიდრდა ასიათასობით თბილისელის ცხოვრებაში. ისინი ღირსეულად აფასებენ ამ მოხერხებულ, სწრაფ ტრანსპორტს, რომელსაც შეუძლია რამდენიმე წუთის განმავლობაში მიიყვანოს მგზავრი საჭირო ადგილზე.

დამკვრელურად შრომობს „თბილისგვირაბმშენის“ № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივი, რომელიც აშენებს მეტროს სადგურს „ავჭალის გზატკეცილი“. აქ ხუთი თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

№ 36 შახტი დიდნაყოფიერი შრომის უბანია. მისმა კოლექტივმა, როგორც ყველა თბილისელმა მეტროშენებელმა, მოქმედების სახელმძღვანელოდ აღიქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მეთორმეტე ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებ ი ს გაშლის შესახებ.

სურათზე: გვირაბგამყვანი მალხაზ თოდაძე „თბილისგვირაბმშენში“ ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრ ე ბ ი ს ერთ-ერთი ლიდერია.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განიხილა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების აღოცანები ქვეყანაში საბინაო პრობლემის გადაჭრის დაჩქ ა რ ე ბ ის ძირითად მიმართულებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად. აღინიშნა, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში განხორციელდა საბინაო მშენებლ ო ბ ის მოცულობის შემდგ ო მ ი გადიდებისა და მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი. დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რათა შემუშავდეს და განხორციელდეს საქართველ ო ს ი საბინაო პრობლემის გადაჭრის უზრუნველმყოფი კომპლექსური ეიზნობრივი პროგრამა, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაევალათ ყოველდღიური ყურადღების ცენტრში იქონიონ საბინაო მშენებლობასთან, როგორც რესპუბლიკის სოციალური განვითარების უპირველეს და ერთ-ერთ ყველაზე მომწიფებულ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები, გააძლიერონ კონტროლი ბინების მშენებლ ო ბ ის გეგმების შესრულებისადმი, მკაცრად აგებინონ პასუხი თანამდებობის პირებს, რომლებიც არღვევენ საექსპლოატაციოდ ობიექტების მიღების დადგენილ წესს, გადაჭრით აღკვეთონ ბინების განაწილებისას საბინაო კანონმდებლ ო ბ ი ს და სოციალური სამართლიანობის პრინციპების ყოველგვარი დარღვევა.

მოიწონეს ახალგაზრდული კომპლექსებისა და ახალგაზრდებისათვის ბინების მშენებლობის ღონისძიებანი. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, რესპუბლიკის საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებს, სამინისტროებს, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელებს, მათს პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი კომკავშირის ინიციატივებს, ახალგაზრდული კომპლექსების მშენებლობა მიჩნიონ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ-პოლიტიკურ ღონისძიებად, რომლის მიზანია ახალგაზრდობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მისი შრომითი და სოციალური აქტიურობის გადიდება, ადგილებზე ახალგაზრდა კადრების დამკვიდრება.

მიეიღოთ ალა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება მეთორმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მწვავე, პრინციპული შეფასება მიეცა ქ. თბილისის კალინინის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების აპარატში კადრების შერჩევის პრაქტიკაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს. პარტიის კალინინის რაიკომის მუშაობა ამ მიმართულებით არადამაკმაყოფილებლად ცნეს. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაგმო სამმართველო აპარატების კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების მუშაობის მანკიერი სტილი. ლიბერალიზმისა და უპრინციპობისათვის, იმ ფაქტებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულებისათვის, როცა რაიონული ორგოლის სამმართველო აპარატებში პასუხისმგებელ მუშაკებს ნიშნავდნენ პროტექციით, პირადი ერთგულებისა და ნათესაობის ნიშნებით, ისე, რომ ღრმად და ყოველმხრივ არ ითვალისწინებდნენ მათ პოლიტიკურ, საქმიანობა და მორალურ თვისებებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ თანამდებობიდან გაათავისუფლა პარტიის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ზ. ა. ლომიძე.

პარტიული კომიტეტების, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ყურადღება მიეპყრეს იმას, რომ ისინი პერსონალურად აგებენ პასუხს კადრებთან მუშაობის მდგომარეობისათვის.

ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა სკკპ წევრის, კადრებისა და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გორის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გ. ნ. სადაგაშვილის ანგარიში. კადრებისა და აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გორის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის ექსპერიმენტის წესით შექმნილი სამსახურის საქმიანობა კადრების მომზადებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დამკვიდრების, სოციალური საკითხების გადაწყვეტისათვის მთლიანად მოიწონეს. ამავე დროს ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ უნდა გაიზარდოს ხელმძღვანელ კადრებთან, აგრეთვე საშუალო რგოლისა და მასობრივი პროფესიების კადრებთან მუშაობის კონკრეტული უკუგება და უფრო სრულად დაკმაყოფილდეს სოფლის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებანი სკკპ XXVII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად, გაეტიურდეს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მონაწილეობა კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაევალათ შეისწავლონ გორის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების კადრებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამსახურის გამოცდილება და შექმნან რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების სისტემაში მოსახლეობის შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის გადიდებისათვის ეს აღმზრდელობითი სქემიანობის გაუჯობესების, კადრებთან მუშაობის სრულყოფის, სოფლის სოციალური გარდაქმნის დაჩქარებისათვის საჭირო პირობები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ სწორად და დროულად ცნო გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კრიტიკული სტატია „ბინდი სროლა, ისმოდა ღვინოც...“ მოსწავლეთა 34-ე რესპუბლიკური სპორტაკიადის ფინალური შეჯიბრების მომზადებისა და მოწყობისადმი უპასუხისმგებლო, ფორმალური მიდგომის შესახებ. მუშაობა, რომელიც მოსწავლეთა სპორტაკიადის ორგანიზაციისათვის გასწიეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა, არადამაკმაყოფილებლად ცნეს.

საქართველოს კომპარტიის თბილისის, გორის, ჭიათურის საქალაქო კომიტეტებს, სოხუმის, მცხეთისა და ახმეტის რაიკომებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს წინადადება მიეცათ განიხილონ იმ პირთა მკაცრი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ მოსწავლეთა სპარტაკიადის ფინანსური შეჯიბრებების მომზადებასა და მოწყობას.

ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოითხოვა, რომ საქართველოს კომპარტიის საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს პროფსაბჭომ და ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა გაალიერონ კონკრეტული და გაზარდონ საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სპორტული ორგანოების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა ადგილებზე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობისათვის. ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოს საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს, როგორც მასებში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობისათვის პასუხისმგებელ წამყვან სახელმწიფო ორგანოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე მიიღეს აგრეთვე გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა საკითხებზე.

გავვიდოთ ლიტერატურის საზოგადოებრივი უკუგება

საბჭოთა კულტურის ბედისათვის, საზოგადოების სულიერი კლიმატისათვის პასუხისმგებლობის გრძნობითაა გამსჭვალული შემოქმედებითი დისკუსია, რომელიც დაიწყო სსრ კავშირის მწერალთა VIII ყრილობაზე. 25 ივნისს ყრილობამ მუშაობა ეანგრძო მოსკოვში.

საბჭოთა მწერლების წინაშე, აღნიშნეს ორატორებმა, დგას ამოცანა უფრო სრულად, უფრო მკაფიოდ გვიამბონ ადამიანებზე, რომლებშიც ვლინდება მაღალი სოციალისტური მორალი, აზროვნების სიმწიფე, საბჭოთა ცხოვრების წესის უპირატესობანი. მხატვრული სიტყვის ოსტატთა პარტიული შეგნების იმედი აქვს კომუნისტურ პარტიას, რომელმაც მწვავედ და ზომთხოვნელად დააყენა თავის XXVII ყრილობაზე ლიტერატურისა და ხელოვნების საზოგადოებრივი უკუგების გადიდების საკითხი.

ცხოვრებაც, ცხოვრებაზე ფიქრიც, მასზე წერაც უდავოდ, უფრო საინტერესო გახდა, ხაზგასმით აღნიშნეს ორატორებმა, როცა საზოგადოებრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებაზე ლაპარაკობდნენ. ტყუილად როდი გააქტიურდა ასე შესამჩნევად შემოქმედებითი ცხოვრება ქვეყანაში, უფრო კონკრეტული, უფრო საპასუხისმგებლო, და ბოლოს, უფრო ჭკვიანური გახდა კამათი მუშთა მწყობრში მწერლის ადგილის შესახებ. უკვე გაჩნდა ნაწარმოებები, რომლებიც შეესაბამებიან დროის სულისკვეთებას, აღვიძებენ სინდისს, მოითხოვენ მკითხველისაგან მისი მოქალაქეობრივი გრძნობების ამოქმედებას. დღეს, როცა მწერალი წარმავალ ყოფითს გარემოებებზე უფრო მაღლა დგას, მოვალეა ყველ ე მოვლენაში ხედავდეს მის პოლიტიკურ აზრს.

პარტიის განმწმენდი მუშაობა ჩვენი დროის დიდი სიკეთეა, აღნიშნეს დელეგატებმა. ბევრი რამ ახლა სხვანაირად დავინახეთ, ბევრი რამ წიგნებში გვეჩვენება მოკრძალებულად, წვრილმანად, შელამაზებულად. და ის გარდაქმნა, რომელიც დღეს ცხოვრების ყველა დარგში მიმდინარეობს, მწერალთა ორგანიზაციასაც ეხება. გაანალიზეს რა შემოქმედებითი კავშირის საქმიანობა, ორატორებმა აღნიშნეს, რომ მას სჭირს ბიუროკრატიული სენი, უმაქნისი და შემოქმედების ინტერესებთან შეუთავსებელი მეტისმეტი ორგანიზებულობა. იმის შედეგი, რაც ახლა მწერალთა აზრებსა და მათს ხელნაწერებში ხდება, უნდა შეაჯამოს ყრილობამ ნამდვილი, საქმიანი გამგეობის არჩევით.

ბევრი ორატორის ყურადღების ცენტრში იყო კრიტიკის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომელიც არის გემოვნების, სამართლისა და სილამაზის გრძნობის ჩანერგვის საშუალება, ხალხის თვითშეგნების გამობატულება. მიმართა რა ყრილობის დელეგატებს — ფრონტელ მწერლებს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა ა. ლიზიჩევმა, აღნიშნა, რომ მათ ნახეს მთავარი რამ — საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი და გმირულს ამკვიდრებდნენ გმირული სიტყვით. ამის მეოხებით დღევანდელ თაობას შეუძლია გაიგოს და გაიაზროს, დაინახოს ომის წლებისა და დღევანდელობის ჰეროიკის ერთიანობა.

დაინტერესებთ, გულ ა ხ დ ი ლად, თვითკრიტიკულად ილაპარაკეს ორატორებმა თანამედროვე გმირის პრობლემაზე. ცხოვრება მოითხოვს მტკიცე შემობრუნებას თანამედროვეობისაკენ, მისი საარსებო მოთხოვნილებებისაკენ, რადგან ადამიანთა ბრძოლების გარდაქმნა ყველაზე უფრო ადვილია სწორედ ჩვენი სინამდვილის მასალით.

ეს ალ ა ბ ა ნ ი ა ა ნ ა ლ ი ზ ი ს ა ც, რომ სოციოლოგთა მონაცემებით, ქალიშვილებისა და ჭაბუკების მხოლოდ მესამედი აღნიშნავს მხატვრული ლიტერატურის გაგლენას მათი ზნეობრივი და პოლიტიკური წარმოდგენების განვითარებაზე, ხაზგასმით აღინიშნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანმა ვ. მიშინმა. ნორმალურად ვერ მივიჩნევთ იმ ფაქტსაც, რომ ბევრ მწერალთა ორგანიზაციას თითქმის არ ემატება ახალგაზრდა ძალები.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენებისა და კავშირის ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ ს. მიხალკოვი, ა. ჩაკოვსკი, ს. ზალი

პარტიული ცხოვრება: ფორმალიზმი ცოცხალი საქმის მტერია

ᲙᲔᲓᲘᲡ ᲐᲜᲐᲒᲐᲠᲐᲓ...

რაიკომი და კულტურის კერები

ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ ონის რაიონის კულტურულ-სპორტული დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებას მიეძღვნა პარტიული აქტივის კრება. მისმა მონაწილეებმა განხილულ საკითხებზე ვრცელი დადგენილება მიიღეს. შარშან აგვისტოში პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება კვლავ დუბრუნდა კულტურულ-სპორტული მუშაობის დიდმნიშვნელოვან საფეროს. პარტიის რაიკომის წევრებმა და აქტივისტებმა ადგილებზე შეამოწმეს, თუ როგორ მიმდინარეობდა დადგენილების შესრულება.

ყველა ფიქრობდა, რომ მიღებული ზომების შედეგად ძირფესვიანად გარდაიქმნებოდა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევდნენ მშრომელთა ესთეტიკურ და ზნეობრივ აღზრდას, თავისუფალი დროის ორგანიზაციას, მხატვრული შემოქმედების განვითარებას: ამჟამად, ზომ რაიონში 28 კლუბი, 53 სასოფლო ბიბლიოთეკა, სამი სასოფლო კულტურის სახლი და კიდევ სხვა მრავალი კულტურული დაწესებულებაა. ამ „კულტურის საამქროებში“ ორასამდე მუშაკი მოღვაწეობს. ეს კი დიდი, სოლიდური ძალაა. მათ თუ ავამოქმედებდით, ცხადია, შედეგიც არ დაყოვნებდა.

მითუმეტეს, ონელებს ტრადიციებიც ურიგო როდი აქვთ. ამ დღეებში ხსენ კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიამ და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის კომიტეტის პრეზიდიუმმა, შეაჯამეს რა ჩვენი ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის გაწეული საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1985 წლის შედეგები და სპატიო სიგელით დააჯილდოვეს ონის სახალხო თეატრის რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიგა ჯაფარიძე. დიდია მისი ამაგი რაიონში კულტურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. სამწუხაროდ, ასეთი ენთუზიასტების, ასეთი ღვაწლმოსილი მუშაკების მაგალითს აქ სათანადოდ ვერ იყენებენ.

ამ მაღალმთიანი რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების ცხოვრების კიდევ უფრო ახლოს გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ კულტურული დაწესებულებების დიდი უმრავლესობა, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ არასაკმარისად იყენებენ არსებულ დიდ შესაძლებლობებს. ძალიან ხშირად ცარიელია შესანიშნავად აღჭურვილი სასოფლო კულტურის სახლები, კლუბები, ბიბლიოთეკები, სპორტული მოედნები თუ სტადიონები. დაბალია მოწყობილი ღონისძიებების ემოციური და შინაარსობრივი დონე, ფერხდება დასვენების ახალი, შინაარსიანი ფორმების დანერგვა. პირველადი პარტიული ორგანიზაციები და სასოფლო საბჭოების აღმასკომები ყოველთვის არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას კულტურულ - საგანმანათლებლო და სპორტულ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის.

შეუბნის საბჭოთა მეურნეობის ღარის აგროუბნის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს (მდივანი — მ. ორდინიძე) დიდი ხანია, დაავიწყდა სოფლად კულტურის დაწესებულებების არსებობა. სრულებით არ იგრძნობა პარტიული გავლენის ძალა და დროული, საქმიანი ხელმძღვანელობა. ბოლო ერთი წლის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რომ კომუნისტებს კლუბის ან ბიბლიოთეკის გამგის ინფორმაცია მოესმინოთ კრებაზე. აქ არავის აინტერესებს, როგორ ასრულებენ კლუბის მუშაკები დაკისრებულ მოვალეობას, რა უჭირთ, რა ულხინთ. არც კლუბისა და ბიბლიოთეკების სამუშაო გეგმებით დაინტერესებულა ვინმე. ასეთმა უყურადღებობამ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა სოფლის ერთადერთი სასოფლო კლუბი. კლუბს ვამბობთ, თორემ ეს რა კლუბია. მისი გარეგნული სახე თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა დონეზე იქნება აქ კულტმასობრივი მუშაობა. შენობა ავარიულია, მაგრამ მშენებლები არ ჩანან. არავითარი ფირნიში, არავითარი თვალსაჩინობა. მხოლოდ შესასვლელთან ერთი ძველისძველი, ფერდაკარგული ლოზუნგი კიდია და ფიქრადაც არავის მოსდის მისი განახლება.

მართალია, ამ შეუფერებელ კლუბში კინოფილმებს უჩვენებენ, მაგრამ საჭირო პირობების უქონლობის გამო კინოფირები კიბის ქვეშ, პირდაპირ მიწაზე ყრია ზოლმე. თანაც არ არის არავითარი აფიშა, ვინაიდან წინასწარ არიციან, თუ რა კინოფილმი იქნება ნაჩვენები, ამას კი ზოგჯერ სეანსის ჩაშლაც მოსდევს.

სოფლის ახალგაზრდობას ამ კლუბში არაფერი არ იზიდავს: დაზიანებული სკამები, ჩამსხვრეული მინები, დანაგვიანებული იატაკი, დაგლეჯილი ფარდები — ეს მთელი ავლადიდება, რაც აქ მაყურებელს ელოდება. ასევე არ არის დასალევი წყალი, საპირფარეშო. განა ასეთ კლუბს კაცი გაეკარება? კლუბის გამგეს ქ. ჩიქვილაძეს ვთხოვეთ გაწეული მუშაობის აღრიცხვის ჟურნალი ენახვინა, მაგრამ იგი მას არ აღმოაჩნდა. გვითხრეს, აქ მუდმივმოქმედი სამი წრე მუშაობსო. გადავათვალიერეთ წრის წევრების სია, და აი, რა ირკვევა: სამივე წრეში სკოლის ერთი და იგივე მოსწავლეები არიან გაერთიანებული, მოზრდილი ასაკის ახალგაზრდობა კი ბედის ანაბარად არის მიტოვებული. რატომ? მიზეზი ერთია: კულტურის დაწესებულება მთა ვერ იზიდავს, პარტიული ორგანიზაცია განზე დგას და კლუბში შექმნილ მდგომარეობას, კულტმასობრივი მუშაობის ჩაშლას ნორმალურად მიიჩნევს.

კლუბის გვერდით სოფლის ბიბლიოთეკაა. მისი წიგნის ფონდი 4 ათასს აღწევს. ამ დაწესებულებას ახალგაზრდა, ენერგიული მუშაკი ქ. მეტრეველი უძღვა სათავეში. გასაუბრებისას ბიბლიოთეკარმა დიდი უკმაყოფილება გამოთქვა და შემოგვჩივლა, უპატრონოდ ვართ მიტოვებულიონ.

ამ სოფლის ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციას უყურადღებობაში არც უწერია სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე — ვ. მეტრეველი) თავკაცები ჩამორჩებიან. მათ სოფლის კულტურის დაწესებულებები გერის როლში ჰყავთ ჩაყენებული. მინიმალურ ყურადღებასაც კი არ აქცევენ კლუბებისა და ბიბლიოთეკების საჭირბოროტო პრობლემებს. ამიტომ სოფლის კულტურის დაწესებულებებში ყველაფერი თვითდინებით, სტიქიურად მიდის. სინათლე რა არის, — ბიბლიოთეკას ისიც არა აქვს. საღამოობით, განსაკუთრებით კი ზამთარში, აქ ყველაფერი ჩაბნელებულია. ეს მაშინ, როცა ბიბლიოთეკის გვერდით მდებარე საბავშვო ბაღი გაჩირაღდნებულია.

ამ ორ დაწესებულებას ერთმანეთისაგან კი მხოლოდ კედელი ყოფს. ბოლოს და ბოლოს, რა გაუჭირდა სასოფლო საბჭოს ისეთი, რომ ათიოდე მეტრი სიგრძის ელექტროკაბელი ვერ იშოვა. ბიბლიოთეკის განთავსებ მოგვარება სამსახურებრივად თვითონ პარტიული ორგანიზაციის მდივანს ვ. ორდინიძეს ევალება, რომელიც ელექტრომონტიორად მუშაობს.

ჩვენმა მეგზურმა ლ. ჩიღვილაძემ, რომელიც კულტურის რაიონული განყოფილების საბიბლიოთეკო მუშაობის ინსპექტორია, სოფელ არტაანში მიგვიყვანა. აჟაური ბიბლიოთეკა კერძო, დაქირავებულ ოთახშია შეხიზნული. ამ პატარა დაწესებულების ბატონ-პატრონი, ბიბლიოთეკარი ქალი მ. გაგნიძე ზღურბლზე შემოგვეგება და ოთახში შეგვიპატიჟა.

ყურადღება მიიპყრო მაგიდაზე უწესრიგოდ მიყრილმა ჟურნალ-გაზეთებმა. ეტყობა, ბიბლიოთეკარს მათ დასალაგებლად „ვერ მოუცლია“. მეტად უბადრუკად გამოიყურება ერთადერთი ფეი, შეუფერებელი გამოფენილი ბიბლიოთეკის ინვენტარი. ბიბლიოთეკის ფონდის გუშაგის როლს ასრულებს. აქ დღემდე არ შეუმუშავებიათ მეცნიერებისა და ტექნიკის პროპაგანდის კონკრეტული გეგმა, ლიტერატურის გამოფენაც არ მოუწყვიათ ამ თემაზე. ბიბლიოთეკის ყოველდღიურ საქმიანობაში, როგორც წესი, ცენტრალური ადგილი უნდა ეჭიროს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზებასა და მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების პროპაგანდას. მაგრამ ყოველივე ამისაგან სოფლის ეს ელტურის კერა ძალიან შორს დგას.

— თუ განიხილეთ პარტიულ კრებაზე ბიბლიოთეკის ან სოფლის კლუბის მუშაობის საკითხი? — შეეკითხეთ პარტბიუროს მდივანს ქ. ტოგონიძეს.

— ზეპირად, რა თქმა უნდა, არ მახსოვს, ჩემი მოადგილე ოქმებს მოიტანს და ვნახოთ, — გვიპასუხა მდივანმა.

დიდხანს ეათვალიერეთ ოქმები, მაგრამ ამ პარტიულ დოკუმენტებში ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვის ნიშან-წყალიც ვერ აღმოვაჩინეთ.

აი კიდევ ერთი დამაფიქრებელი საკითხი. შარდომეთის კლუბი და ბიბლიოთეკა ალ. ჯაფარიძეს, რომელიც სკკპ XXVI ყრილობას ეძღვნება. და ეს მაშინ, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა უკვე სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შრომობს და ცხოვრობს. ზომ ცხადია, რომ აგროუბნის პარტიული ორგანიზაცია არავითარ კონტროლს არ უწევს ბიბლიოთეკას.

მოსახლეობაში რა ეფექტიანი მასობრივი მუშაობა შეიძლება მოვთხოვოთ ნიგზნარის ბიბლიოთეკას, რომლის შენობა მეტად უბადრუკად გამოიყურება: კედლები სხვადასხვა ფერის, გაბნეული წარწერებით არის აჭრელებული და მკითხველს გუნებაგანწყობილებას უფუჭებს; ეზოსა ეტალახებული, ავდარში კაცს იქ გავლა გაუჭირდება. ეტყობა, შეუბნის საბჭოთა მეურნეობის დირექციას და პარტიულ კომიტეტს ამ ბიბლიოთეკის არსებობა არც კი ახსოვთ.

სოფლის კულტურის კერებზე მზრუნველობით ვერც სორის საბჭოთა მეურნეობის ფარახეთის აგრონუბნის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი — ქ. ტოგონიძე) დაიკვეხნის. აჟაური კომუნისტები ერთხელაც არ დაუფიქრებია სოფლის ერთადერთი ბიბლიოთეკის მუშაობის სტილს. ბიბლიოთეკის გამგე ც. სულაძე მხოლოდ წიგნის ფონდის გუშაგის როლს ასრულებს. აქ დღემდე არ შეუმუშავებიათ მეცნიერებისა და ტექნიკის პროპაგანდის კონკრეტული გეგმა, ლიტერატურის გამოფენაც არ მოუწყვიათ ამ თემაზე. ბიბლიოთეკის ყოველდღიურ საქმიანობაში, როგორც წესი, ცენტრალური ადგილი უნდა ეჭიროს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზებასა და მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების პროპაგანდას. მაგრამ ყოველივე ამისაგან სოფლის ეს ელტურის კერა ძალიან შორს დგას.

— თუ განიხილეთ პარტიულ კრებაზე ბიბლიოთეკის ან სოფლის კლუბის მუშაობის საკითხი? — შეეკითხეთ პარტბიუროს მდივანს ქ. ტოგონიძეს.

— ზეპირად, რა თქმა უნდა, არ მახსოვს, ჩემი მოადგილე ოქმებს მოიტანს და ვნახოთ, — გვიპასუხა მდივანმა.

დიდხანს ეათვალიერეთ ოქმები, მაგრამ ამ პარტიულ დოკუმენტებში ჩვენთვის საინტერესო საკითხის განხილვის ნიშან-წყალიც ვერ აღმოვაჩინეთ.

აი კიდევ ერთი დამაფიქრებელი საკითხი. შარდომეთის კლუბი და ბიბლიოთეკა ალ. ჯაფარიძის მემორიალურ სახლშია მოთავსებული. ზაფხულობით აქ ხალხმრავლობაა, რეგულარულად იმართება სპექტაკლები, კინოსეანსები, სპორტული შეჯიბრებანი. ეს სანატრელი დღეები აქ მხოლოდ სამ თვეს — ზაფხულობით გრძელდება. წლის სხვა დროს კი მშრომელი კაცი კანტიკუნტად თუ გამოჩნდება. სამე ის არის, რომ სოფელი ცარიელდება და კულტურულ დაწესებულებებში, როგორც გვითხრეს, სიცოცხლეც ჩაკვდა. ამიტომ შარშან სექტემბრის შუა რიცხვებიდან კლუბში კინოსურათიც არ უჩვენებიათ.

ასეთი მძიმენიანი კულტურის დაწესებულებები განა მარტო შარდომეთშია? ისინი სხვა სოფლებშიაც არის. ზომ არ დადგა დრო, რაიმე ვიღონოთ, მოვიფიქროთ. იქნებ ჯობდა, რომ შეგვექმნა ეგრეთ წოდებული, კარგად მოწყობილი სეზონური კლუბები და ბიბლიოთეკები. კულტურის კერა თუ უკუნებას არ იძლევა, სახელმწიფო რატომ უნდა ხარჯავდეს სოლიდურ თანხას? ეს ზომ სახსრების წყალში გადაყრაა და მეტი არაფერი. ასეთი უყაირათობა კი არავის ეპატიება.

რაიონში მწვავედ დგას კულტურის დაწესებულებებისათვის კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემა. კლუბებსა და ბიბლიოთეკებში ცოტა სპეციალისტი მუშაობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით უკვე იდგმება პირველი ნაბიჯები: საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გადაწყვიტა — ონი, როგორც მთიანი რაიონი, უზრუნველყოს კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის სპეციალისტებით. ამავე დროს მთ შეექმნებათ ადგილზე მუშაობის ყველა პირობა და გაუჯობესებენ კულტურის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

პარტიის ონის რაიკომმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყველაფერი უნდა იღონონ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მთის სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული მუშაობის უფრო მაღალ დონეზე ასაყვანად. ამის კარგი ორიენტირია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავს საბჭოთა ადამიანის იდეური და სულიერი დახვეწის გზებსა და ამოცანებს.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მიმდინარეობს შემაჯამებელი მეცადინეობები

თითოეულის პერსონალური პასუხისმგებლობა და აქტიურობა

სასწავლო წლის მანძილზე გაწეული თავიანთი მუშაობა პირობითად სამ ეტაპად დაყვეს შემაჯამებელი მეცადინეობის მონაწილეებმა. ესენია სკკპ ცენტრალური კომიტეტის შარშანდელი პრილის პლენუმის შემდგომი პერიოდი, უშუალოდ სკკპ XXVII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისწინა და ამ ყრილობათა შემდეგინო ეტაპები. ყველა მათგანი თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, თავისი კონკრეტული მოთხოვნილებებით გამოირჩეოდა, და თბილისის, კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობათა ქარხნის № 1 საამწყობო-მექანიკური საამქროს მუშაკებმა, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის მსმენელები ყოველთვის ცდილობდნენ ფეი აეწყოთ მათთვის, მეცადინეობებზე განსახილველი საკითხები თავიანთ წინაშე მდგომი ამოცანებისათვის დაეკავშირებინთ და ასე დაესახათ ხოლმე სამომავლო სამოქმედოდ.

ამავე ნიშნით წარიმართა შემაჯამებელი მეცადინეობაც, რომელზეც საუბარი იყო დაჩქარების სტრატეგიაზე, ამასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, „საზოგადოებრივი შენგნების განვითარება ყოველთვის. რთული პროცესია, მაგრამ ახლანდელი ეტაპის თავისებურებამ განსაკუთრებული სიმწვავე მიანიჭა ბევრ მომწიფებულ პრობლემას... ყველაზე არსებითი, რასაც უნდა მოვახმაროთ დღეს პარტიული ზემოქმედების მთელი ძალა, — ეს არის მიღწევა ამისა, რომ ყოველ ადამიანს ესმოდეს ახლანდელი მომენტის სიმწვავე, მისი გარდამტეხი ხასიათი.“ — თქვა სკკპ XXVII ყრილობაზე.

— ეს პრობლემები ასე მწვავედ რომ არ იდგეს, ამასთან ასე რთული გადასაწყვეტი არ იყოს, ამაზე დღეს საუბარიც არ გვექნებოდა, თქვა სკოლის პროპაგანდისტმა, საამქროს მუშამ რ. კარაპეტიანმა, — საერთო ამოცანა გლობალურია — უნდა დაჩქარდეს ქვეყნის როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური განვითარება. მოდით, საკითხი ასე დავსვათ: კონკრეტულად ჩვენ როგორ უნდა შევძლოთ ზუსტად განვსაზღვროთ ჩვენი ადგილი და როლი ამ საერთო საქმეში, როგორ გარდავქმნათ მუშაობა და გავაუმჯობესოთ მისი შედეგები? ამ პრობლემის გადაწყვეტისაკენ ყველამ თავისი გზა უნდა გაიაროს.

პარტიული ორგანიზაცია, თქვეს სკოლის მსმენელებმა, საამისოდ ბევრ ფორმას იყენებს. მათ შორის ინდივიდუალურ მუშაობას თითოეულ კომუნისტთან. მუშაკთან. სწორედ ამგვარი მუშაობით, ადამიანის ფაქტორის გაძლიერებით არის შესაძლებელი იმ პოტენციური შესაძლებლობების ამოქმედება, რომელიც ქარხანაში არსებობს. მეცადინეობაზე დასახელეს მინსკის ერთი საწარმოს მაგალითი. აქ ზემდგომ ორგანოთა კომისიის მოლოდინში მუშაკების სურვილმა, პირნათლად დახვეწილიყვნენ შემმოწმებლებს, ისეთი შედეგებისთვის მიაღწევინა მათ, რომელზეც სხვა დროს ალბათ მხოლოდ ოცნებობა შეეძლოთ — შრომის ნაყოფიერება იმ დღეებში 20 პროცენტით გაიზარდა. აი, რას ნიშნავს ადამიანის ფაქტორი!

— სხვა რად გინდათ, ხომ ყველას გვახსოვს, თვით ჩვენს კოლექტივში შარშან, შემოდგომაზე, როდესაც ვცდილობდით ახალი წარმატებებით შევგებებოდით სკკპ XXVII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, როგორ იმატა შრომის ტემპმა. რამდენი ასეთი პატაკი მივითვალეთ, რამდენმა მუშაკმა ვადამდე შეასრულა წლიური და ხუთწლიანი გეგმები! — თქვა მეცადინეობაზე.

ასეა. ადამიანები სხვას კი არ უნდა შესცქეროდნენ, ვნახოთ ერთი როგორ გაუმჯობესებს მუშაობასო, არამედ თავად უნდა ცდილობდნენ, ხელი გაშიოლონ შეტად, არ უნდა იყოს სულ ერთი, როგორი შედეგები ექნება საამქროს, საწარმოს მთლიანად, ვინაიდან როგორც ყრილობაზე ითქვა, ისევე ვიცხოვრებთ, როგორც ვიმუშავებთ, გვექნება ის, რასაც შევქმნით.

საწარმოს ცუდი მაჩვენებლები არა აქვს. შარშანდელი გეგმები პირნათლად შეასრულეს და დარგის საწარმოთა შორის გაწილილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილიც დიაკავეს. მართალია, წელს ლითონით ურიტმო მომარაგება ძალზე უშლით ხელს, მაგრამ ხუთი თვის მაჩვენებლები მაინც კარგია.

არის ასეთი მოთხოვნაც: უფრო თამამად უნდა ვუსწოროთ თვალი სიახლეებს, ვეძიოთ, დავნერგოთ ისინი, ვესწორებოთ ხელშესახებ უკუგებას. აქ სწორედ ყრილობის წინ დანერგეს ტექნიკის ახალი სახეობა — რობოტი-მანიპულატორი. ამ ძველ ქარხანაში მისი გამოყენება მიზანშეწონილად არ მიჩნიდათ, ორხევში ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ აპირებდნენ მის გამოყენებას, მაგრამ როგორც გაირკვა, თამამმა, გონივრულმა რისკმა გამართლა. ახლა რობოტების სერიული წარმოებაა დღის წესრიგში.

მომავალში უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სახალხო მოზმარების საგნების გამოშვებას. ხუთწლედის ბოლოსათვის გამოშვებული პროდუქციის როდენობა უნდა გაორმაგდეს. ეს ამოცანა თითოეული მუშაკის განსაკუთრებულ მოწადინებას მოითხოვს. ამასთან უპირველესი მნიშვნელობა მის ხარისხს უნდა მიექცეს. მომხმარებლის გემოვნება და სურვილი მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

აღინიშნა მუშაობაში არსებული ხელისშემშლელი პირობებიც — იერიშობანა თვის, კვარტალის, წლის ბოლოს, მეორე ცვლის არსებობა, ვეგმების კორექტირების მავნე ჩვეული, ხელის შრომის დიდი ხვედრითი წილი და ა. შ. თქვა ბოლოს ალმოფხვრის შესაძლებელ გზებზეც.

— ყველამ უნდა მიიღოს დამასახურებისამებრ, — ერთ-ერთი გზა წარმატებისაკენ ასე დაინახა საამქროს ზეინკალმა, კოტაგაშარელმა მიხეილ ცარახოვმა, — კარგი და ცუდი მუშაკისადმი დამოკიდებულება, პირობები, ანაზღაურება ერთნაირი არ უნდა იყოს, ეს ხალისს უკარგავს ადამიანებს. მატერიალური და მორალური სტიმულირების ფორმები უფრო ქმედითად უნდა გამოვიყენოთ.

აქტიურობა თანამედროვე ადამიანის უპირველესი მოვალეობაა. დღეს სხვა უფლება არავისა გვაქვს, ყველაფერი უნდა ვიღონოთ დიდი გეგმების შესრულებისათვის, თითოეულმა ჩვენს სამუშაო ადგილზე ბოლომდე უნდა ვაკეთოთ ის, რაც გვევალება — ასეთი იყო იმდღევანდელი მეცადინეობის მონაწილეთა საერთო აზრი.

გ. ხარებაშვილი.

ᲬᲔᲚᲡ ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲑᲘᲠᲕᲘᲡᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲙᲚᲔᲑᲐᲡ ᲣᲛᲘᲜᲘᲡ ᲙᲐᲮᲔᲚ ᲛᲘᲬᲐᲛᲝᲛᲭᲔᲓᲔᲑᲘ.

ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲘᲫᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲛᲬᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲙᲝᲚᲔᲛᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡ ᲢᲔᲛᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲝᲜᲔᲑᲘ — ᲙᲝᲜᲕᲔᲘᲔᲠᲘᲓᲐᲜ

ᲡᲙᲙᲞ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ბინათმშენებლობის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების აუცილებლობა კვლავ მოექცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ყურადღების ცენტრში. სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე პირდაპირ ითქვა, რომ დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას საბინაო მშენებლობაში ნაკლოვანებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ეს პრობლემა ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის შეუნელებელი ყურადღების საგანია.

ინდუსტრიულ ბინათმშენებლობას ჩვენს რესპუბლიკაში 10 სახლთსაშენებელი კომბინატი ეწევა. მეთერთმეტე კი ახლახან შეიქმნა ქალაქ გაგრაში. თბილისის № 1 სახლთსაშენებელი კომბინატი უკვე ათი წელიწადია მოქმედებს და ამ ხნის განმავლობაში ვერა და ვერ მოხერხდა მისი საპროექტო სიმძლავრის მთლიანი ათვისება. მისი საპროექტო სიმძლავრე გამოყენებულია 60-70 პროცენტით. და ეს, როგორც პრაქტიკამ ცხადყო, კომბინატის ფაქტობრივი სიმძლავრეა. ამას, ჩემი აზრით, სერიოზული მიზეზები აქვს და დაკავშირებულია კომბინატის ტექნოლოგიურ პროექტში დაშვებულ შეცდომებთან, რაც ითთ გამოიხატება, რომ გარე პანელების გამოსაშვებ ტექნოლოგიაში გამოყენებულია ორი 7-იარუსიანი კონვეიერი, რომელიც ექსპერიმენტულია და არსად არ გამოიცადა. არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე პროექტით გათვალისწინებული არმატურის დამამზადებელი საამქროს ტექნოლოგია. დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად გადაწყდა ამ კომბინატის ხელახლა დაპროექტება, მაგრამ ალბათ, კვლავ საბერდისწერო შეცდომის გზას ვადგავართ სტრატეგიის არჩევისას, და აი რატომ: საქმე ის არის, რომ გარე პანელების გამოსაშვებად ვითვალისწინებთ ჯერ კიდევ გამოუყენებელ ტიპობრივ ორხვრელიან კონვეიერს. გარდა ამისა, გარეპანელების ერთი ნაწილის თერმული დამუშავება ხდება უხმარი ორთქლის გამოყენებით, რაც დაუშვებელია, ხოლო მეორე ნაწილისა — დახურული ორთქლით. არმატურის საამქროს ახალ პროექტში საჭიროა გავითვალისწინოთ არმატურის დამზადების რთული ოპერაციების სრული ავტომატიზაცია და, თუ გნებავთ, რობოტიზაციაც. ხოლო საბოლოო ტექნოლოგიური სქემა უნდა დადგინდეს მეორე რიგის შშენებლობის გათვალისწინებით. მიზანშეწონილია აგრეთვე ტიპობრივი ტექნოლოგიური მალების სპეციალიზაცია.

არანაკლებ უარყოფითად იმოქმედა ამ კომბინატის მუშაობაზე ის გარემოებამ, რომ აქ ათვისებული 127 სერიის სახლების კონსტრუქციები ტიპობრივი ტექნოლოგიური აღჭურვილობის სრული გამოყენების საშუალებას არ იძლევა. უფრო მეტიც, ამ სერიის ბაზაზე შემუშავდა ახალი გაუმჯობესებული პროექტი, რომლის რკინაბეტონის ხარჯი ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე დაახლოებით 23 პროცენტით იზრდება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კომბინატის სიმძლავრის შემცირება 42 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით.

№ 2 სახლთსაშენებელმა კომბინატმა ამ ოციოდე წლის წინ დაიწყო პირველი მსხვილპანელიანი სახლების გამოშვება. იგი შეიქმნა რკინაბეტონის ქარხნის ბაზაზე და ამ დროიდან მოყოლებული კომბინატში არ შეწყვეტილა სარეკონსტრუქციო სამუშაოები. არ იყო ჩამოყალიბებული სახლთსაშენებელი კომბინატისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგიური სქემა.

უკანასკნელი რეკონსტრუქცია ამ კომბინატში ახლახას დამთავრდა, მაგრამ არც ამან მოგვცა სასურველი შედეგი, რადგან ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ბევრი გადაწყვეტილება მიღებული იყო ნაჩქარევად და დაუფიქრებლად. კერძოდ, მცდარი გადაწყვეტილებაა მიღებული გარეკედლების სამხსნელო საამქროში, სადაც პროდუქციის 50 პროცენტს აგრეგატული ნაკადური ტექნოლოგიით უშვებენ. არ არის გათვალისწინებული გარეპანელების შეღებვისწინა მოსამპრიკეთებელი სამუშაოების ტექნოლოგია. ჯერ კიდევ მოუგვარებელია არმატურის დამამზადებელი საამქროს ტექნოლოგია და მოცულობითი კარკასების ტრანსპორტირების საკითხი.

უკანასკნელ ხანს ამ კომბინატში დაინერგა ახალი გაუმჯობესებული 1-464 სერიის ბლოკსექციური სახლების გამოშვება. მართალია, ისინი არქიტექტურული დაგეგმარების მხრივ გაცილებით უკეთესია არსებულ სერიასთან შედარებით, მაგრამ რკინაბეტონის კონსტრუქციების ხარჯი 0,6 კუბური მეტრიდან ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე 0,92-მდე, ხოლო გარე საკედლე პანელების რაოდენობა 46 პროცენტამდე გაიზარდა. ალბათ, იკითხავთ, ამას რა მნიშვნელობა აქვსო? აი რა: ჯერ ერთი, რკინაბეტონის დანახარჯების ზრდასთან დაკავშირებით ამ კომბინატის სიმძლავრე 125 ათასიდან 100 ათას კვადრატულ მეტრ ფართობამდე შემცირდა და მეორეც, სახლთსაშენებელ კომბინატში გამოშვებული კონსტრუქციების 70 პროცენტი მაინც უნდა მზადდებოდეს ქასეტურ და სტენდურ ფორმებში, რაც კონსტრუქციების საქარხნო მზაობის მაღალ დონეს განაპირობებს. ჩვენს შემთხვევაში კი გარე საკედლე პანელების რაოდენობის ზრდამ ეს საშუალება შეგვიზღუდა და აგრეგატულ-ნაკადური ტექნოლოგიის დამატებითი გამოყენება დაგვჭირდა.

პრობლემებია № 3 სახლთსაშენებელ კომბინატში, რომელიც კარკასულ-პანელური მაღლივი სახლების შშენებლობაზეა დასპეციალებული. ამ კომბინატში დღემდე მიმდინარეობს ათასამდე სახეობის კონსტრუქციების ათვისება და გამოშვება. სახლთსაშენებელ კომბინატს სტაბილურად მხოლოდ 200-მდე სახეობის კონსტრუქციების გამოშვებაზე შეუძლია იმუშაოს, აქ კი 10-12 წლის განმავლობაში სხვადასხვა სახეობის კარკასის ათვისებისათვის გაუთავებელი პროცესი მიმდინარეობს. ჯერ იყო და, თბილისის ტიპობრივი დაპროექტების ინსტიტუტის პროექტით ვარკეთილის დასახლებაში ექსპერიმენტული ურიგელო კარკასიანი სახლი აშენდა (კონსტრუქტორები — მ. მარჯანიშვილი და გ. ჭანუყვაძე), შემდგ ამავე ინსტიტუტის მიერ დამუშავებული არქიტექტორ კ. ბოკუჩავას, კონსტრუქტორ თ. თხილავას პროექტით დოლიძის ქუჩაზე სამი თეძვსშიტსართულიანი სახლი აიგო. მერე არქიტექტორების გ. კვიმსაძისა და შ. ყავლაშვილის პროექტით მრავალი სახლი აშენდა, ამ ბოლო პერიოდში კი წინასწარ დაძაბული ურიგელო კარკასიანი სახლი — იუგოსლავიური მეთოდით. არ გეგონოთ, ექსპერიმენტის წინაამდეგი ვიყო, მაგრამ როდესაც ექსპერიმენტი ექსპერიმენტისთვის ხორციელდება და ბოლო არ უჩანს გაუთავებელ ძიებასა და არჩევანს, ეს მხოლოდ ვნებს სახლთაშენებელი კომბინატის მუშაობას. ექსპერიმენტი მაშინ არის გამართლებული, როცა მის დადებითს შედეგს წინსვლისთვის ვიყენებთ. თორემ რა გამოდის, გაკეთებულს ვივიწყებთ და კვლავ ახალ და ახალ ზამოწყებასთან გვაქვს საქმე. ვერა და ვერ დადგინდა კომბინატის საბოლოო ნომენკლატურა. საჭიროა უახლოეს დროში მოგვიდეს ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე. დაწესდეს ამ კომბინატისათვის გამოსაშვები სახლების ნაირსახეობა და ბოლო მოეღოს გაუთავებლად დიდი რაოდენობის ახალი ფორმების დამზადებას, ტექნოლოგიის განახლებას, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

თბილისის № 4 და № 5 სახლთსაშენებელი კომბინატები ათეული წლების განმავლობაში აშენებენ მსხვილპანელიან სახლებს. მათი წლი ქ. თბილისის ბინათმშენებლობის დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბოლოიანი სახლების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები საგრძნობლად ჩამორჩება მსხვილპანელიანი სახლების ლოსაშენებელი კომბინატის მუშაობას. ექსპერიმენტი მაშინ არის გამართლებული, როცა მის დადებითს შედეგს წინსვლისთვის ვიყენებთ. თორემ რა გამოდის, გაკეთებულს ვივიწყებთ და კ

ფაქტები • მოვლენები
ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა თქმა სჯობს არათქმასა ერთობითა

და თანადგომით...

ეხმაურებიან „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ლია წერილს

დაჩქარების სტრატეგია, რომელიც პარტიის XXVII ყრილობამ წინა პლანზე წამოწია, გულისხმობს ყოველივე იმის აღმოფხვრას, რაც ხელს უშლის ზემსრულ სწრაფ წინსვლას. ამ მოთხოვნილებათა თვალსაზრისით გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენს დარგში ბევრი ნაკლი და დარღვევაა, რომელთა შესახებ სამართლიანად აღნიშნავდა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გოგრაძე გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში.

ჯერ კიდევ გვახსოვს და ჩვენთვის მწარე გაკვეთილად დარჩება სამინისტროში მომხდარი მექრთამეობის ფაქტი, მნიშვნელოვანი წამატებები და უსაქონლო ოპერაციები გაერთიანება „თოლიაში“, თანამდებობრივი დანაშაულობანი, თვალისახვევის ფაქტები გაერთიანება „ინდგანსაცმელში“ და სხვა...

დარგში სხვადასხვა სახის დარღვევათა ლიკვიდაციის ძირითად პირობად საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მიანჩია ყოველდღიური დაძაბული შრომა სამსახურებრივი მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის ზრდისათვის, ყველა მმართველი რგოლის თანამდებობრივი უფუნქციის გაძლიერებისათვის — დაწყებული პირველი რგოლიდან სამინისტროს აპარატით დამთავრებული.

ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ, ოერისტების ენით რომ ვთქვათ, შევქმნათ სისტემაში პიროვნების გარდაუვალი დახჭის ატმოსფერო თანამდებობრივი ინსტრუქციის, შედასაწარმოო დებულებების ნელი (ტემპერატურა — 7 მილიონი გრადუსი) არეების აღმოჩენის ამბავი. იგი პროფესორმა ს. პაიაკავამ შეგვაცნობინა, ხოლო ახალგაზრდა ამერიკელმა მეცნიერმა დოქტორმა კრის მარტინმა (კალიფორნიის უნივერსიტეტში მოღვაწეობს) გვაუწყა, რომ მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „შატლის“ ტელესკოპით აღმოაჩინეს ვარსკვლავთშორისო სივრცის ასი ათასი გრადუსი ტემპერატურის მქონე ულტრაიისფერი გამოსხივება ეანგბადის, ნახშირბადისა და გოგირდის იონების ხაზებში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს დიდი ინტერესი, რომელიც გამოიწვია ახალგაზრდა ქართველი მეცნიერების გ. ჩაგელიშვილისა და გ. მელიქიძის მოხსენებებმა აკრეციული დისკებისა და პულსარების შესახებ. საეროდ, კი უნდა ითქვას, რომ ცნობილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ჯ. ლომინაძის სკოლა თამაღად გამოდის საერთაშორისო კონფერენციებზე, გაბედულად მოახსენებს მათ ახალ იდეებს და დეტალური გამოთვლების შედეგებს.

ი. ზელდოვიჩი — აკადემიკოსი, სამეზის სოციალისტური შრომის გმირი: კოსმოსის დაპყრობამ საშუალება მოგვცა საზომი მოწყობილობა ატმოსფეროს ფარგლებს გარეთ გაგვეტანა. მეცნიერებმა აღმოაჩინეს ახალი სამყაროო ვარსკვლავებისა, რომლებიც რენტგენურ სხივებს ასხივებდნენ.

პლაზმური ასტროფიზიკის განვითარებამ დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა მეცნიერებმა. კერძოდ, ბოლო წლებში სულ უფრო აქტიურად მუშაობს ქართული სამეცნიერო ასტრონომიული სკოლა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ამდენი შესანიშნავი უცხოელი (ტემპერატურა — 7 მილიონი გრადუსი) არეების აღმოჩენის ამბავი. იგი პროფესორმა ს. პაიაკავამ შეგვაცნობინა, ხოლო ახალგაზრდა ამერიკელმა მეცნიერმა დოქტორმა კრის მარტინმა (კალიფორნიის უნივერსიტეტში მოღვაწეობს) გვაუწყა, რომ მრავალჯერადი გამოყენების კოსმოსური ხომალდის „შატლის“ ტელესკოპით აღმოაჩინეს ვარსკვლავთშორისო სივრცის ასი ათასი გრადუსი ტემპერატურის მქონე ულტრაიისფერი გამოსხივება ეანგბადის, ნახშირბადისა და გოგირდის იონების ხაზებში.

ბ. პაიაკავა — პროფესორი, იაპონია: კონფერენციამ საშუალება მომცა შევხვედროდი ბევრ სწავლულს, რომლებიც ესოდენ წარმატებით მოღვაწეობენ. ჩენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ფიზიკოსების აქტიურობამ, რომელთა უმეტესობას აქამდე არც ვიცნობდი. ძალიან ვწუხვარ, რომ ყველა მოხსენების შეფასება არც შემიძლია.

ალბათ უკეთესი იქნებოდა, პროგრამა ასე გადატვირთული არ ყოფილიყო, მეტი დრო გვქონოდა წარმოდგენილი მასალის გასაანრებლად. თუმცა პირადად მე ბევრი მომცა კონფერენციდარბაზს ბიმბა გამართულმა პირადმა დისკუსიებმაც.

სიტყვები ვერ მომიძებნია ჩემს ოარიბულ ინგლისურ ლექსიკონში, რომ გამოვხატო მადლიერება ქართველი კოლეგების მიმართ, რომლებმაც ამდენი რამ გააკეთეს კონფერენციის წარმატებისთვის.

გ. კოპი — პროფესორი, მასაჩუსეტის (აშშ) ტექნოლოგიური ინსტიტუტი: სოხუმის პლაზმური ასტროფიზიკის კონფერენცია ჩემთვის განსაკუთრებული იყო, რადგან მან საშუალება მომცა შევხვედროდი საბჭოთა კოლეგებს, რომლებიც რადენიმე წელია ალარ მინახავს, მათთან კი მე წრფელი მეგობრობა მაკავშირებს.

კონფერენციაზე ჩვენ მეტად გულახდილი დისკუსია გვქონდა და, დარწმუნებული ვარ, რომ ისიც და ის კონტაქტები, რომლებსაც ვგეგმავთ, მნიშვნელოვანი ფაქტორები იქნება შემდგომი კვლევა-ძიების გააქტიურებისათვის.

ის, რომ სამყაროში ყველა და ყველაფერი მუდმივად არის ურთიერთდაკავშირებული, ერთხელ კიდევ ცხადყო ჩერნობილის ელსადგურში მომხდარმა ავარიამ. ვფიქრობ, ეს და სხვა მოვლენები კიდევ უფრო დაგვაფიქრებს და დაგვარწმუნებს ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობაში. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ ქვეყნად ნაშიდობისა და ხალხთა მეგობრობის განსამტკიცებლად. ამ დიდ, საშვილიშვილო საქმეში კი თავისი განსაკუთრებული როლი მეცნიერულ კონტაქტებს განეკუთვნებათ. ამიტომაც იმსახურებენ დიდ მადლობას ჩვენი ქართველი კოლეგები, რომლებმაც არაფერი დაიშურეს, რათა კონფერენციაზე ყოფილიყო უაღრესად საქმიანი და მეგობრული ატმოსფერო.

მეცნიერული კონტაქტები

ჩვენი დიდი საერთო სახლისთვის

გვესაუბრებიან კლაზმურ ასტროფიზიკაში საერთაშორისო კოფერენციის მონაწილენი

სოხუმში ამასწინათ მუშაობა დაამთავრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თაოსნობით მოწყობილმა საერთაშორისო სკოლამ პლაზმურ ასტროფიზიკაში. მის მუშაობაში მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან და საბჭოთა კავშირის წამყვანი სამეცნიერო ცენტრებიდან ჩამოსული 115 მეცნიერი მონაწილეობდა.

გადაწყდა, პლაზმური ასტროფიზიკის დარგში მოღვაწე სწავლულთა მომდევნო საერთაშორისო შეხვედრა 1988 წელს გაიმართოს იტალიაში, ვარენაში. ოთხი წლის შემდეგ კი მათ კვლავ უმასპინძლებს საქართველო, საიდანაც ბლანდელი კონფერენციის მონაწილეებს საუკეთესო შთაბეჭდილებები გაპყვა. ბევრმა უცხოელმა მეცნიერმა აღნიშნა კონფერენციის მაღალი მეცნიერული დონე და უზადო ორგანიზაცია. მათ გულითადად მიუღოცეს თავიანთი საბჭოთა კოლეგებს „ვეპა“ საერთაშორისო პროექტის განხორციელებისას მოპოვებული ბრწყინვალე შედეგები. კონფერენციის ყველა მონაწილის აზრი გამოსატა, ალბათ, ახალგაზრდა პოლანდიელმა მეცნიერმა ელდერლინგმა, როცა თქვა: ჩვენ ეს შეხვედრები არასოდეს დაგვავიწყდება არა მარტო მეცნიერული დისკუსიებით, არამედ იმითაც, რომ კონფერენციამ კიდევ ერთხელ ცხადყო, როგორ სურთ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებს თანამშრომლობა კოსმოსის გამოკვლევისა და ჩვენი დიდი საერთო სახლის — ჩვენი სამყაროს შესწავლის საქმეში.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ესაუბრნენ თვალსაჩინო საბჭოთა და უცხოელი მეცნიერები.

რ. სიუნიაევი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი: კონფერენციის მუშაობას ვეზი ნისცა საბჭოთა თეორიული ასტროფიზიკისა და კოსმოლოგიის ლიდერების, აკადემიკოსების ვ. ლ. გინზბურგისა და ი. ბ. ზელდოვიჩის მონაწილეობა. დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ ა. ა. გალეევისა და აკადემიკოს რ. ზ. საგდეევის (კოსმოსური გამოკვლევების ინსტიტუტი) მოხსენებამ „ვეპა“ აპარატებით კომეტა ჰალეის გამოკვლევისა და მაპაზუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის (აშშ) პროფესორის ბრუნო კოპის მოხსენებამ აპარატ „ვოიაჯერით“ პლანეტა ურანის გარშემო პლაზმის გამოკვლევის შესახებ. კონფერენციაზე გავიგეთ იაპონური „ტენა“ (ჰეგასი) ხელოვნური თანაგზავრის მიერ ჩვენი გალაქტიკის ვარსკვლავთშორისო სივრცეში ახალი ზეცხელი ობიექტების აღმოჩენის ამბავი. ეს ობიექტები ალბათ ნეიტრონული ვარსკვლავებია, ანუ ელექტრონული ატომების ბირთვებისგან შემდგარი ობიექტები, ანუ ატომური ბირთვების ერთგვარი ბლანკეტი. ეს ობიექტები ალბათ ელექტრონული ატომების ბირთვებისგან შემდგარ ობიექტებზე ბევრჯერ მეტია. ეს ობიექტები ალბათ ელექტრონული ატომების ბირთვებისგან შემდგარ ობიექტებზე ბევრჯერ მეტია.

ბ. ბაბაევი — ინგლისი:

შემოქმედებითი ზრდის გზა

აფხაზეთის მწერალთა კავშირის 50 წლისთავისათვის

ახალი ცხოვრების დამკვიდრებასთან ერთად აყვავდა ჩვენი ეროვნული ლიტერატურა, როგორც მუზა, რომელიც უხვად გამოიყენის ხოლმე ყლორტებს გაზაფხულობით.

1921 წლის გაზაფხულზე აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი წლებიდანვე ყველა პირობა შეიქმნა შემოქმედებითი ძალების ფორმირებას, მაღალკვალიფიციური შემოქმედებითი ძალების აღზრდას. ამ საქმეში უდიდესი როლი განეკუთვნება დ. გულიას, მრავალი პროზაული და პოეტური ნაწარმოების ავტორს.

დიმიტრი გულიამ, რომლისთვისაც ფოლკლორი ყოველთვის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო, გაამდიდრა ამით თავისი ნაწარმოებები. დიმიტრი გულიას პირველი თანამოსაგრე გახდა დიდი და თავისებური ტალანტით მომადლებული გამოჩენილი აფხაზი პროზაიკოსი და აფხაზური დრამატურგიის ფუძემდებელი სამსონ ჩანბა. მას წილად ხვდა სათავეში ჩასდგომოდა აფხაზეთის მწერალთა ორგანიზაციას, დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე აფხაზური ენის განვითარებაში, მის გაძდიდრებასა და დახვეწაში.

აფხაზური ლიტერატურა დღითი დღე, წლითიწლობით იკრეფდა ძალებს, როგორც მთის ბობოქარი მდინარე გაზაფხულის დადგომის ჟამს. გამოჩნდა ისეთი ნიჭიერი პოეტების, პროზაიკოსებისა და დრამატურგების სახელები, როგორნიც იყვნენ ოუა კოლონია, მიხეილ ლაკერბაი, ივანე პაპასკირი, ძაძ დარსალია, მუშნი ხაშბა, ოთარ დემურჯ-იპა, შამილ ხოკერბა, პლატონ ჭკადუა და სხვები.

უნდა ითქვას, რომ აფხაზური ლიტერატურისათვის ოცდაათიანი წლები ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრების, შემოქმედებითი დავაკაცების, დაძაბულ იდეურ და მხატვრულ ძიებათა წლები იყო. უფროსი თაობის მწერლებს მაშინ მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტები, პროზაიკოსები და დრამატურგები, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებში ასახავდნენ ახლის გამარჯვებას, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების რთულ პროცესს, მის სულიერ ძიებებს, ახალგაზრდა ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურის ზრდას. მათ განეკუთვნებიან ვლადიმერ აგრბა, ლეონტი ლაბახუა, ლევარსან კვიცინია, შალვა წვიტა, ბაგრატ შინკუბა, კიაზიმ აგუმაა, მიხეილ გოჩუა. მუშნი ჰაპასკირი, სტეფანე კუჭიბერია და სხვები. აფხაზური მხატვრული ლიტერატურული კრიტიკის სარბიელზე პირველი ხნული გააკეთეს მეცნიერებმა ხუხუტ ბლაჟბამ და შალვა ინალიფამ, რომელთა ნიჭიერმა კალამმა ბევრი ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწარმოები და გამოკვლევა, ნარკვევი და სტატია შექმნა, რომლებიც დღემდე მთავარი სახელმძღვანელოებია აფხაზური ლიტერატურის შესასწავლად.

ჩვენ ამაყად შეგვძლია ვთქვათ, რომ ზემოხსენებული მწერლები, პოეტები და ლიტერატურათმცოდნეები იმ ლიტერატორთა პირველ კოჭორტას შეადგენენ, რომლებმაც მტკიცე საძირკველი ჩაუყარეს ახალგაზრდა აფხაზური ლიტერატურის ყველა ჟანრის შემდგომ განვითარებას.

დღეს აფხაზეთის მწერალთა კავშირი შემოქმედთა დიდი რაზმია, რომელიც სსრ კავშირის მწერალთა კავშირის 78 წევრს აერთიანებს. ისინი აფხაზურ, ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე წერენ, მგზნებარედ და დაინტერესებულად მონაწილეობენ რესპუბლიკაში მიმდინარე ყველა დიდმნიშვნელოვანი ცვლილების პროცესში.

ბოლო წლები იმით აღინიშნა, რომ დაიბეჭდა და მკითხველების საუკეთესო შეფასება დაიმსახურა. აფხაზეთის სახალხო პოეტის ბაგრატ შინკუბას რომანებმა და ახალმა ლექსებმა, ივანე თარბას, შალვა წვიტას, ალექსი გოგუას, კონსტანტინე ლომიას, გიორგი გუბლიას, მუშნი ლასურიას, ნიკოლოზ კვიწინიას, შალოდი ჯინჯარლის, ნელი თარბას, ჯუმა ახუბას, შოთა ჭკუადუას, ვლადიმერ ანქვაბის, ალექსი ჯენიას, პლატონ ბებიას, ბორის გურგულიას, ნიკოლოზ ხაშგის და სხვათა ნაწარმოებებმა.

კვლავინდებურად მტკიცდებოდა და ვითარდებოდა აფხაზური ლიტერატურის ნაყოფიერი შემოქმედებითი ურთიერთობა რუსულ, ქართულ და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხთა ლიტერატურებთან. ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებმა დამსახურებულად მოიპოვეს აღიარება ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც — ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებში და საზღვარგარეთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით გაიზარდა ჩვენი ჟურნალის — აფხაზეთის მწერალთა კავშირის ორგანოს „ალაშარას“ მოცულობა. ახლა უკვე წელიწადში ორჯერ გამოდის ქართული ალმანახი „რიწა“, რომელიც სოხუმში იბეჭდება.

ჩვენთვის ამ ბოლო ხანს ფრიად სამახსოვრო მოვლენად იქცა ის ამბავი, რომ 1984 წლის შემოდგომაზე აფხაზეთში მოეწყო საბჭოთა ლიტერატურის დღეები, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ბევრი გამორჩენილი მწერალი მონაწილეობდა. შარშან გაზაფხულზე მოსკოვში გაიმართა აფხაზური პოეზიის საღამო, რომელშიც ასევე მონაწილეობდნენ ქართველი და რუსი მთარგმნელი პოეტები. მკითხველმა გულთბილად მიიღო და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა ნიკოლოზ ბარათაშვილის აფხაზურ თარგმანს, რომელიც ბაგრატ შინკუბამ შეასრულა. ამ ცოტა ხნის წინათ ალექსი გოგუამ აფხაზ მეცნიერთან გიორგი ამიჩბასთან ერთად აფხაზურად თარგმნა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლი „შუშანიკის წამება“. აფხაზურ ენაზე თარგმნილია და ახლაც ითარგმნება ქართული კლასიკა და თანამედროვე ლიტერატურის ბევრი ნაწარმოები. ამასთანავე ქართულ ენაზე გამოვიდა აფხაზ ავტორთა მთელი რიგი ნაწარმოებები.

უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ჩვენ უფრო მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და შემოქმედებითი ურთიერთობის მთავარ სარედაქციო კოლეგიასთან.

ჯერჯერობით მიაგო რა აფხაზური ლიტერატურის უდავო წარმატებებს, აფხაზეთის მწერალთა მორიგმა, VII ყრილობამ ამასთანავე თვითკრიტიკულად და გამიზნულად გაამახვილა ყურადღება ნაკლოვანებებზე, პრობლემებზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც ჩვენთვის გამომდინარეობს სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან.

ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი ახალგაზრდა ლიტერატორებთან მუშაობის მხრივ, სბპავშვთა და საყმაწვილო ლიტერატურის დარგში.

ამ დღეებში ავტონომიური რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი საქართველოს, მთელი ჩვენი ქვეყნის შემოქმედი ინტელიგენცია მხურვალედ და დაინტერესებულად მსჯელობს თავის ამოცანებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის იანვლის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და მშრომელებისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ მიმართვის შესაბამისად, რომ საყოველთაოსახალხო სოციალისტური შეჯიბრება გავაჩაღოთ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ა. ჯონუა.

აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

● ●

აფხაზ მწერალთა და პოეტთა ჯგუფი: აფხაზეთის ასსრ დ. გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალექსი ჯენია, შალვა წვიტა, აფხაზეთის ასსრ დ. გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი შოთა აკობა. აფხაზეთის სახალხო პოეტი, საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიისა და აფხაზეთის ასსრ დ. გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბაგრატ შინკუბა, ნელი თარბა, აფხაზეთის ასსრ დ. გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გიორგი გუბლია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „ხუთწლედის მატიანის“ პრემიისა და აფხაზეთის ასსრ დ. გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ივანე თარბა, აფხაზეთის ასსრ დ. გულიას სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი შალოდი ჯინჯარალი და კონსტანტინე ლომია.

ი. ბოხორნელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქართული თეატრის მესაჯარი



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებით ხანგრძლივი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონ **ალექსანდრეს** — ეს უკვე ყველამ იცის. სწორედ ბადრი კობახიძეს „პირველ ნაბიჯში“ [illegible] ... ბატონ ალექსანდრეს. ახალ შემოქმედების ასპარეზზე. ამიტომ, სავსებით კანონზომიერია, რომ ბ. კობახიძე ამ თეატრს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საგასტროლო მოგზაურობის უცვლელი მონაწილეა.

სახელგანთქმულ სპექტაკლ „რიჩარდ მესამეში“, მთელი თეატრალური სამყარო რომ აალაპარაკა, ბადრი კობახიძე განსაზიერებს ლორდ სტენლის. იგი მოხდენილად შედის იმ ანსამბლში, რომელსაც რიჩარდის გარემოცვა შეიძლება ვუწოდოთ. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც რიჩარდის აღზევება განაპირობეს. სტენლი მათ შორის გამორჩეულია პოზიტიური ნეიტრალიტეტით, შინაგანი სიმშვიდითა და გამჭრიახობით.

როდესაც ბადრი კობახიძის შემოქმედების მრავალფეროვნებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მისი რეჟისორული მოღვაწეობაც. მან რუსთაველის თეატრში (სხვადასხვა დროს) დადგა: რ. ნეშის „წვიმის გამყიდველი“, ი. შტოკის „ღვთაებრივი კომედია“, ა. ჩხაიძის პიესები „დაბრუნება“ და „სამიდან ექვსამდე“. ა. ჩხაიძის პიესის „სამიდან ექვსამდე“ რეჟისორისთვის ბ. კობახიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე“. გარდა ამისა, ბ. კობახიძემ ერეკლის გ. სუნდუკიანის სახელობის თეატრში დადგა ო. იოსელიანის პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება“.

ბადრი კობახიძის ცხოვრების ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა გახლავთ მოღვაწეობის საზოგადოებრივი სფერო. წლების მანძილზე იგი თავდაუზოგავად, გატაცებით, მისთვის ჩვეული სიბთბოთი და სიყვარულით იღვწი საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტზე, სადაც ქმიმაგად უდგას ქართული თეატრის სვე-ბედს, მის შინაურ და საგარეო ურთიერთობებს. აქვე განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მისი გულითადი მეგობრობა და საქმიანი თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ თეატრალურ მოღვაწეებთან. ეს ყველაფერი ერთად ჩვენ წინაშე წარმოაჩენს პიროვნებას, შემოქმედს, მოკვლაქეს, რომელიც დღენიადაგ ზრუნავს ქართული თეატრის უკეთესი მერმისისათვის.

ვაჟა ძიგუა.

ბევრი საფიქრალი გამოიწვია ახალმა ქართულმა მხატვრულმა ფილმმა „სანამ წვიმა გადავლიდეს“, რომელიც დადგა ახალგაზრდა კინორეჟისორმა ქეთი დოლიძემ და რომელსაც საფუძვლად დაუდო ლაშა თაბუკაშვილის „ბელი ვალსი“.

ცხადია, ყოველი ახალი ფილმის გამოჩენას ინტერესით ხვდება მაყურებელი: რა სურდათ ეთქვათ ამ ფილმით მის ავტორებს, მოხერხდა თუ არა მათი ჩანაფიქრის მხატვრული ხორცშესხმა, ანდა ახალი თუ არა, საჭირო და საინტერესო სიტყვა მაინც ითქვა?

„სანამ წვიმა გადავლიდეს“ ერთი ოჯახის ცხოვრების ამბავია, ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებიდან მომდინარე პრობლემების ახალი რაკურსით წარმოჩენის კიდევ ერთი საინტერესო ცდაა.

ეს პრობლემები, ათეული წლების განმავლობაში წვრილმანთმიანობად რომ იყო მიჩნეული ლიტერატურისა და ხელოვნებაში, მართალია, არახალია, ძველია, მაგრამ არამც და არამც მომველებული, რადგან ეს პრობლემები საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე ახალი სახითა და განზომილებით წარმოჩნდება და გადაწყვეტის შესატყვის საშუალებებს მოითხოვს.

ალბათ ამ საშუალებების ძიებამ მოანახვინა თავისი „კუნძული“ ფილმის მთავარ გმირს სალომეს ქალაქთველის სსრ სახალხო არტისტი მედეა ჯაფარიძე) — მასწავლებლობას თავი რომ დაანება და თავის მიკროსამყაროში ჩაიკეტა, რათა მთელი ძალისხმევითა და საბრძოლო არსენალით წინააღმდეგს თვალით უხილავ მტერს, რომელსაც არა ერთი და ორი ოჯახი დაუნგრევია, მშობელი ვაჟუმწარებია, ახალგაზრდა შეუწირავს.

რა რუდუნებით განუმტკიცებია სალომეს თავისი ოჯახის ბალავარი, რარიგ დაჭკანკალებს თავის ერთადერთ ვაჟს გიას (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, დებიუტანტი ირაკლი ჭანტურია), რარიგ ცდილობს განდევნოს მისგან ყველა ცდუნება და აღზარდოს შვილი პატიოსნების, შრომისმოყვარეობის, კაცთმოყვარეობის, მშვენიერების სიყვარულის პრინციპით.

კედლებზე დიდებული პანოები, ფინანპრების, მოლოგეფთა, ციხე-კოშკების ფოტოები, საყვარელი მხატვრების ნამუშევრები, რადიოლაზე სალომეს საყვარელი „ძველი ვალსის“ — ჩაპლინის ვალსის ფირფიტა, ძვირფასი წიგნები — პოეტური აღმაფრენის შედევრები, რომელთაგან სალომეს სულს განსაკუთრებით ეხმიანება გალაკტიონის ლექსი-ლოცვა „მზეო, თიბათვისო“.

მფარველ ანგელოზად დაჭაფრფატებს ოჯახს თავს მშვენიერებისაკენ ლტოლვით სულგასებული დედა-ბურჯი ოჯახისა. ცდილობს ყოველი კუთხე-კუნჭული ამოგმახოს და გზა გადაუკეტოს ქუჩიდან მოძალებულ მღვრიე ნაკადს, მაგრამ... სალომე მარტოა ამ ბრძოლაში: ის და მისი მეუღლე ვახტანგი (საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თენგიზ არჩვაძე) სხვადასხვა პოლუსზე აღმოჩნდებენ.

ვახტანგი მეცნიერი მუშაკია, ხელოვნებათმცოდნე, მაგრამ პროფესია ვერ ქცეულა მის საყვარელ საქმედ და არც აინტერესებს, რა ხდება ამ დარგში, შრომა ეზარება, აღკაჭოლს დამეგობრებია და ფსიზელი იშვიათად თუ შეაღწევს ბინის კარს.

გიას ბუნება გაორებულია.

ორთაბრძოლაში თანდათან კარგავს სალომე თავის პოზიციებს. შვილი აბეზარი ბუზივით იგერიებს დედის სენტენციებს (როგორც ეძახის იგი სალომეს თხოვნას, გაფრთხილებას, შეგონებებს), მას აშკარად აღიზიანებს დედის არაამქვეყნიური (მისი აზრით) ლტოლვა სულიერი სამაღლეებისაკენ. უფრო მეტიც, ადანაშაულებს დედას თავის არაპრაქტიკულ, არასწორ აღზრდაში. ცხოვრების მეგობრადაც ხომ მისი ცოლი ფორიაქს და მხოლოდ მის დასამშვიდებლად, ვითომდა ცდილობს, შვილს სერიოზულად გამოელაპარაკოს. მაგრამ რა უთხრას, რომელი პირადი მაგალითით დაარწმუნოს? მეუღლეთა შორის ჰარმონია რომ დარღვეულია, ამიტომაც არის, ასეთი ძალით რომ აწყდება ქუჩიდან შემოვარდნილი ნაკადი ოჯახის ქედლებს და ბზარავს იმ ბალავარს, სალომე რომ ასეთი რუდუნებითა და თავგანწირვით განამტკიცებდა...

ამის თვალსაჩინო დემონსტრირება ხდება სალომეს დაბადების დღეს. სასადილო მაგიდაზე შემოსხდომიან სალომეს ყოფილი კოლეგები, მისი სკოლის მასწავლებლები, თავიანთ პროფესიას შეწირული ადამიანები. (ელენე — თამარ ციციშვილი, თამარი — ნანა მშვილიძე, მიხეილი — იაკობ ტრიპოლსკი, დემნა — ბონდო გოგიჩაია) არ ჩანან მხოლოდ ვახტანგი და გია. „ალბათ რაღაც საქმეზე შეაგვიანდათ, მოვლენ, უთუოდ მოვლენ“, — ბოდიშს იხდის სალომე. კოლეგებს დღემდე ვერ მოუნელებიათ, რომ სალომემ, იდეალურმა პედაგოგმა, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ მიატოვა სკოლა. ძმოლოდ ის ამართლებს, რომ გია განსაკუთრებული ბავშვი იყო და ღირდა მსხვერპლშეწირვად. მაგრამ აი, იღება კარი და შემოდის ნასვამი გია, რომლის არც ქცევა, არც სიტყვა-პასუხი არ ამძღოვნებს მის კარგ ოჯახურ აღზრდას. შეცბუნებული სალომე ცდილობს გააქარწყლოს ეს შთაბეჭდილება, მაგრამ ვერც ასწრებს: კვლავ იღება კარი და ოთახში ღრიანცელით შემოიჭრებიან მთელი დღის ნაქეიფარი, შამპანუსრულიად საწინააღმდეგო ხატი, ქარაფშუტა ნონა აურჩევია, რომლისთვისაც წმინდა და ამაღლებული არაფერი არსებობს, უზრუნველ ცხოვრებას არჩევს და სხვას მიჰყვება ცოლად.

იდეალებისაგან დაცლილ, სწავლაზე გულაცრუებულ, სიყვარულში ხელმოცარული გიას უკიდურესობამდე აღიზიანებს დედის დაუფარავი შიში, უზომო ზრუნვა, ღელვა... დედა-შვილს შორის დღითი დღე ღრმავდება მათი გამყოფი ხაზი.

რას შვრება ამ დროს ოჯახის მამა?

ვახტანგი ირონიითაც კი უყურებს ცოლის ფორიაქს და მხოლოდ მის დასამშვიდებლად, ვითომდა ცდილობს, შვილს სერიოზულად ესაუბროს. ინგლისური გვინდაო, საუკეთესო მასწავლებელი დავუქირავე, მუსიკალური განათლება გვინდაო, „ბეკერი“ ჩამოვუტანე ლენინგრადიდან, სკოლას დაამთავრებენ, უმაღლესში მოვაწყობ... გია, ხომ იცი, თავი არავის დაანაგვრინო, ყველგან და ყოველთვის პირველი იყავი და რქებით მიაწექი ამ წუწურაქ ცხოვრებას...

ბიღწსიტყვაობა, უხამსი ქცევა, მთვრალი ხორხოცი...

სალომეს სასტიკი მარცხის მოწმენი ხდებიან მისი კოლეგები, ვისთვის და რისთვის შეუწირავს თავი? რა შერჩენია იმ თავისი ოცნების ხუთეულისაგან?

...სულის შემძვრელია კადრი, როდესაც გამწარებული სალომე გიას ხელიდან დაშლას გამოსტაცებს და დაუშენს სასადილო მაგიდაზე ჩამწკრივებულ ბოთლებს..

იქნებ სულაც იმ დღეებიდან დაიწყო სალომეს ფიზიკური რღვევა? არ იქნებოდა სისხლის გათთრება, — იქნებოდა სხვა დაავადება, რომლებსაც შვილისაგან გამოწვეული არა ერთი და ორი მშობელი შეუწირავს.

სალომე ილუპება.

მაგრამ მანამდეც, გარდაუვალი კატასტროფის პირველი სიგნალის გამჩენია საკმარისი შეიენა მამა-შვილის გამოსაფხიზლებლად. მათ ახლა შეიგრძნეს, რა უზომოდ ყვარებიათ ეს საოცრად სპეტაკი, ფაქიზი, ქმარ-შვილს შეწირული ადამიანი. ახლა ისინი ცდილობენ გაულამაზონ სალომეს დარჩენილი სიცოცხლის დღეები, იცხოვრონ მისი ინტერესებით, აუსრულონ, რაც უნატრია... გვიანლაა.

მაგრამ სალომეს მსხვერპლის ფასად გადარჩა მის მიერ შექმნილი ამაღლებული სამყარო, მისი პანოებითა და ნახატებით, მისი გალაკტიონით და ძველი ვალსით — ლაიტმოტივად რომ მიჰყვება კინოფილმს.

..წვიმა ღვარად მოედინება სარკმლის მინაზე. სარკმლის მიღმა გია დგას. ეს ფილმი, გიას მონოლოგია, ტკბილ-მწარე მოგონებებზე აგებული და სამუდამოდ გულს ჩარჩენილი.

სევდა აწვიმს გიას სულს...

...ინთება შუქი და ვხედავთ — არც მაყურებელი დარჩენილა გულგრილი. ამ ერთი ოჯახის ამბავმა მრავალი ასოციაცია გამოიწვია და მასთან ერთად ზოგის მწვავე სინანულიც, რომ ადამიანები ვერ ვუფრთხილდებით ერთმანეთს, ზოგი დაადფერა: „როგორ აღვზარდოთ შვილი?“ ვიდაცამ ხალხური სიბრძნეც გაიხსენა, ცალი ხელით ტაშს ვერ დაუკრავო: მეორემ: კი მაგრამ, აუცილებელი იყო სალომეს დალუპვა იმისთვის, რომ გია გამოფხიზლებულიყო? და სხვა და სხვა..

მთავარია, რომ ფილმმა დაბადა უამრავი „რატომ“, „როგორ“... ზოგი მალულად იწმენდდა ცრემლს — როგორ სჭირდება კი ხანდახან ადამიანის სულს ასეთი ცრემლი — განმწმენდავი, ამამაღლებელი...

— იყო თუ არა აუცილებელი სალომეს დალუპვა? — ეს ერთი კონკრეტული ამბავია, ცხოვრება კი გვთავაზობს უამრავ მოსალოდნელსა თუ მოულოდნელს, კარგსა თუ ავს, რაც ადამიანს გამოაფხიზლებს.

— როგორ აღვზარდოთ შვილი? — უთუოდ ისე, რომ კეთილიც იყოს, პატიოსანიც, კაცთმოყვარეც და ამავე დროს ფხიზლად, მყარად იდგეს დედამიწაზე. ამ საქმეში კი მართლაც „ცალი ხელით ტაშს ვერ დაუკრავ“.

და რაც მთავარია: „ადამიანებო, გაგუფრთხილდეთ ერთმანეთს“ — გვასწავლის ფილმი.

...ამაზე ფიქრობს ალბათ ახლა, ამ წვიმიან დღეს, სარკმლის მიღმა მდგმი გია. წვიმა გადავლის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკვალოდ არ გამქრალა სალომეს ნაოცნებარი: გია უყოყმანოდ დაადგება არჩეულ გზას. ეგებ, ელილოსთან ერთადაც? — ვინ იცის!

დრამატულად დაძაბულია ლაშა თაბუკაშვილის სცენარი, სწორია რეჟისორული ინტერპრეტაცია. ბრწყინვალე აქტიორთა თაიგული. განუმეორებელ მშვენებას ანიჭებს მედეა ჯაფარიძე; მეტად წრფელი და ამაღელვებელია თენგიზ არჩვაძე, მთ გვერდით კი ნიჭიერი ახალგაზრდობაა: ნინელი ჭანკვეტაძე, ირაკლი ჭანტურია, ნინო ბურდეფლი, გიორგი ხუციშვილი, საუცხოოდ არის შერჩეული სადამდგმელო კოლექტივი: კომპოზიტორი გიორგი ჩლაიძე, ოპერატორი მიხეილ მედნიკოვი, მხატვარი კაი ხუციშვილი, ხმის ოპერატორი ვლადიმერ დოლიძე.

„სანამ წვიმა გადავლიდეს“ უდავოდ მართალი და საჭირო ფილმია.

მარიკა ბარათაშვილი.

ფიქრები

კინო

წვიმიან დღეს

ბევრი ფიქრობს ალბათ ახლა, ამ წვიმიან დღეს, სარკმლის მიღმა მდგმი გია. წვიმა გადავლის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკვალოდ არ გამქრალა სალომეს ნაოცნებარი: გია უყოყმანოდ დაადგება არჩეულ გზას. ეგებ, ელილოსთან ერთადაც? — ვინ იცის!

დრამატულად დაძაბულია ლაშა თაბუკაშვილის სცენარი, სწორია რეჟისორული ინტერპრეტაცია. ბრწყინვალე აქტიორთა თაიგული. განუმეორებელ მშვენებას ანიჭებს მედეა ჯაფარიძე; მეტად წრფელი და ამაღელვებელია თენგიზ არჩვაძე, მთ გვერდით კი ნიჭიერი ახალგაზრდობაა: ნინელი ჭანკვეტაძე, ირაკლი ჭანტურია, ნინო ბურდეფლი, გიორგი ხუციშვილი, საუცხოოდ არის შერჩეული სადამდგმელო კოლექტივი: კომპოზიტორი გიორგი ჩლაიძე, ოპერატორი მიხეილ მედნიკოვი, მხატვარი კაი ხუციშვილი, ხმის ოპერატორი ვლადიმერ დოლიძე.

„სანამ წვიმა გადავლიდეს“ უდავოდ მართალი და საჭირო ფილმია.

მარიკა ბარათაშვილი.

ᲐᲠᲥᲘᲤᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲨᲔᲛᲐᲡᲬᲘᲜᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲠᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

1 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ქუთაისში საზეიმოდ გაიხსნება საოპერო ხელოვნების ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის მუსიკალური კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები. ამ თაოსნობის ინიციატორები არიან მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტები, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი მაყვალა ქასრაშვილი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ სოტკილავა.

აი, რა თქვა ამის გამო „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში **ზ. სოტკილავამ:**

— ჩვენ კარგა ხანია ვფიქრობთ საქართველოში ასეთი სახის ფესტივალის გამართვაზე. ქუთაისი შემთხვევით არ აგვირჩევია, ამ ქალაქს დიდი მუსიკალური ტრადიციები აქვს, თანაც სტუმრები ჩვენი ეროვნული კულტურის ბევრ ღირსშესანიშნაობას გაეცნობიან. მართლ გელთი და ბაგრატი რად ღირს! გვინდა გელათის მონასტრის ეზოშიც გავმართოთ ერთი კონცერტი.

ასეთი ღონისძიებები უკვე კარგა ხანია დიდად პოპულარულია ევროპის ქვეყნებში — საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში...

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ე. ობრაზცოვა, ი. მაზუროკი, ა. ეურიატისი, კიევის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ტურჩაკი, დიდი თეატრის სოლისტები, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.

საკონცერტო შესრულებით წარმოდგენილი იქნება ოპერები „სოფლის ბატიოსნება“ და „ჯამბასი“ ოპერეტა „ტოსკა“ და „ჯამბაზები“, გაიმართება ცნობილი საოპერო მომღერლის ე. ობრაზცოვის სოლო კონცერტი, საბჭოთა საოპერო-თეატრალური ანსამბლის, მსოფლიოს [illegible] ... ბ. კობახიძეს ... ლ. ... ბ. ... ლ. ... ბ. ... ლ. ... ბ.